№822 2015 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და „გილიად საიენს აიერლანდ უს“-ს („გილიადი“) შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის მოწონების თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და „გილიად საიენს აიერლანდ უს“-ს („გილიადი“) შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, ურთიერთგაგების მემორანდუმში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებისა და დამატებების შეტანა ან ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება, მის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდეგ, არ საჭიროებს საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმებას.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**